„ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისთვის“

ზესტაფონის მუნიციპალიტის თემის საჭიროებები

ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის (ISC)

2019 წელი

შინაარსი

წინასიტყვაობა **3**

1. კვლევის მეთოდოლოგია **4**

1.1. კვლევის მიზნები და ამოცანები 4

1.2. კვლევის ეტაპები და მეთოდები 4

1.3. კვლევის სამიზნე ჯგუფები 5

1.4. კვლევის ეთიკური საკითხები 6

1.5. კვლევის შეზღუდვები 6

2. ძირითადი მიგნებები **7**

3. რეკომენდაციები **9**

4. კვლევის შედეგები **11**

4.1. თემის დონეზე არსებული სოციალური პრობლემები და საჭიროებები 11

4.2. მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების მიმოხილვა 19

4.3. უწყებათაშორისი თანამშრომლობა, კომუნიკაცია და კოორდინაცია 26

4.4. თემის ძლიერი მხარეები, რესურსები და შესაძლებლობები 27

4.5. მონაწილეთა მოსაზრებები სოციალური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად 30

ბიბლიოგრაფია **32**

დანართი **33**

სადიკუსიო გეგმა / გზამკვლევი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის 33

სადიკუსიო გეგმა / გზამკვლევი ფორმალური და არაფორმალური ლიდერებისთვის 34

სადიკუსიო გეგმა / გზამკვლევი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის 35

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თვისებრივი კვლევის ანგარიშს - „თემის საჭიროებების შესწავლა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში“. ანგარიში მომზადებულია ორგანიზაციის “ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათის” (ISC) მიერ, პროექტის „ინკლუზიური დიალოგი ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA) პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად - „ქალები რეგიონული განვითარებისთის“ და „პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო“, ახორციელებს ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში არსებული პრიორიტეტული სოციალური საჭიროებების იდენტიფიცირება, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის აქტიური თანამონაწილეობის გზით. აღნიშნილი მიზნის მისაღწევად, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ამავე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, თემის ფორმალურმა და არაფორმალურმა ლიდერებმა, ასევე სხვადასხვა მოწყვლადი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებმა. კვლევა ჩატარდა 2019 წლის აგვისტოში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში. კვლევის ფარგლებში, სამაგიდო კვლევის ანალიზის ფორმატში, ასევე შესწავლილ იქნა ძირითადი კანონმდებლობა, სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილი კონრეტული დოკუმენტები და მანამდე ჩატარებული კვლევები.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს წინაპირობას ადგილობრივ დონეზე სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისათვის. ამასთანავე, მიმდინარე წლის ოქტომბერში, კვლევის შედეგად გამოვლენილ პრიორიტეტულ საკითხებზე სოციალური პროგრამების შემუშავების მხარდაჭერის მიზნით, დაგეგმილია სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.

მკვლევარი/ები:
თამარ ივანიაძე, სოციალური მუშაობის მაგისტრი
ნინო დემეტრაშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო - LDA და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს

1. კვლევის მეთოდოლოგია

1.1.კვლევის მიზნები და ამოცანები

შესწავლის მიზანს წარმოადგენს ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში არსებული პრიორიტეტული სოციალური საჭიროებების იდენტიფიცირება, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების აქტიური თანამონაწილეობის გზით. კვლევის ამოცანები/ძირითადი საკვლევი საკითხებია:

- თემში არსებული იმ საჭიროებების გამოკვეთა, რომლის წინაშეც დგანან მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ოჯახები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის და თემში მომუშავე სხვა ინსტიტუტებისა და/ან ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მომსახურებების/დახმარებების სახეობა/შინაარსი;
- გამოკვეთილი საჭიროებებისა და მათი საპასუხო აქტივობების (მომსახურებები/დახმარებები) რელევანტობის შეფასება;
- თემის ძლიერი მხარეების / შესაძლებლობების / რესურსების შეფასება სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

1.2.კვლევის ეტაპები და მეთოდები

კვლევის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა როგორც პირველადი ინფორმაციის წყაროების - ფოკუს ჯგუფების გამოყენებით, ასევე, გადამოწმებულ იქნა მეორეული წყაროები, რაც მოიაზრებს დოკუმენტაციის ანალიზს, მათ შორის არსებული ანგარიშების/შეფასებების მიმოხილვას, სტატისტიკური და სხვა სახის მონაცემების დამუშავებას, შესწავლის მიზნებისთვის.

კვლევა (ფოკუს ჯგუფები) და საბოლოო ანგარიშის მომზადება განხორციელდა შემდეგი თანმიმდევრული ეტაპების გავლით:

I ეტაპი - კვლევის დიზაინის შემუშავება, სადისკუსიო გეგმებისა და გაიდლაინების მომზადება;
II ეტაპი - საველე სამუშაოების განხორციელება/მონაცემების შეგროვება;
III ეტაპი - მონაცემთა დამუშავება და ტრანსკრიპტების მომზადება;
IV ეტაპი - მონაცემთა ანალიზი და ანგარიშის მომზადება.

თვისებრივი კვლევის მეთოდად, პროექტის ფარგლებში, განსაზღვრული იყო ფოკუს ჯგუფების გამოყენება, თუმცა მკვლევარებმა დამატებით უზურნველყვეს სამაგიდო ანალიზის განხორციელება. ჯგუფის წევრების საერთო მახასიათებლებით დაკომპლექტებამ ხელი შეუწყო ნდობას და საუბრის თავისუფალ მსვლელობას. ფოკუს ჯგუფისას გამოყენებულ იქნა ნახევრად-სტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმა რამაც ერთის მხრივ, მკვლევარებს მისცა შესაძლებლობა უზრუნველეყოთ შეხვედრის მიმდინარეობა წინასწარდაგეგმილი ჩარჩოს შესაბამისად და მეორეს მხრივ, თავად რესპონდენტებს აძლევდა საშუალებას წამოეწიათ თემის საჭირობებისადმი ავთენტური სხვა საკითხებიც. საუბრის თავისუფალი მსვლელობა დაეხმარა მონაწილეთა აქტიურ ჩართულობასა და საკვლევ საკითხებზე სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებას/დაზუსტებას. კვლევის მიზნებისთვის მომზადებულ იქნა სამი სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი, სამიზნე ჯგუფების შესაბამისად (იხ. დანართები).

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობას იღებდა მინიმუმ 8 ადამიანი და ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები შეირჩნენ სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი ყურადღება გამახვილდა ჯგუფის ჰომოგენურობაზე. მათი საბოლოო შემადგენლობა განისაზღვრა დამკვეთ ორგანიზაციასთან შეთანხმებით. ჯგუფების დაკომპლექტებისას, ყურადღება იქნა გამახვილებული გენდერული ბალანსის დაცვაზე. აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში, გადაწყვეტილების მიმღებ პირთან, დამატებით ჩატარდა ერთი ჩაღმავებული ექსპერტული ინტერვიუ. საველე სამუშაოები ჩატარდა მიმდინარე წლის აგვისტოში. ფოკუს ჯგუფების საშუალო ხანგრძლივობად განისაზღვრა 1.5-დან 2 საათამდე. ფოკუს ჯგუფების მსვლელობა ჩაიწერა აუდიო მოწყობილობაზე. თითოეულ ფოკუს ჯგუფს მოდერაციას უწევდა ერთი ფასილიტატორი. ისინი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან პარალელურ რეჟიმში მუშაობდნენ. ფოკუს ჯგუფების განხორციელების შემდეგ, მკვლევართა მიერ მომზადდა თითოეული შეხვედრის დეტალური ტრანსკრიპტი, რასაც დაეფუძნა წინამდებარე კვლევის ანგარიში, სადაც ასახულია ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა მიერ დასახელებული პრობლემები/საჭიროებები და შესწავლილი დოკუმენტაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია. აღნიშნულზე დაფუძნებით, შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები, მუნიციპალურ დონეზე სოციალური მომსახურებების გაუმჯობესების კუთხით.

1.3.კვლევის სამიზნე ჯგუფები

ფოკუს ჯგუფები მიზნად ისახავდა,იმ პრიორიტეტული სოციალური საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირებას, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივ დონეზე მოწყვალადი ჯგუფების კეთილდღეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო და ფოკუს ჯგუფური დისკუსია განხორციელდა შემდეგ ჯგუფებთან:

- ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები - მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის თანამშრომლები, საკრებულოს სოციალური კომიტეტის წევრები, მერის წარმომადგენლები ტერიტორიულ ერთეულებში;
- თემის ფორმალური ლიდერები: სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები; საგანმანათლებლო რესურს ცენტრის წარმომადგენელები; ბაღების გაერთიანების წარმომადგენელები; ადგილობრივი სკოლისა და ბაღების დირექტორები; ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები;
- არაფორმალური ლიდერები/აქტიური მოქალაქეები: ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები; ადგილობრივი აქტივისტები / აქტიური მოქალქეები (რომლებიც არ არიან თემში არჩეულ ან დანიშვნით თანამდებოებზე მყოფი პირები);
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები/ბენეფიციარები: მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ოჯახების წარმომადგენლები (მარტოხელა მშობელი; მრავალშვიალიანი ოჯახები; ბავშვებზე, ხანდაზმულებსა და შშმ პირებზე მზრუნველი ოჯახები; დევნილები და სხვ.).

1.4.კვლევის ეთიკური საკითხები

ფოკუს ჯგუფები განხორციელდა კვლევისთვის დამახასიათებელი ისეთი ეთიკური პრინციპების დაცვით, როგორიცაა ინფორმირებული თანხმობა და ნებაყოფლობითი მონაწილობა, კონფინდენციალობა და „არ ავნო“ პრინციპის დაცვა. გამომდინარე იქედან, რომ მონაწილეთა „რეკრუტირებაში“ მკვევარები უშუალოდ არ მონაწილებდნენ, ისინი მონაწილეებს შეხვედრის დასაწყისში აცნობნდენენ დეტალურ ინფორმაციას კვლევის მიზნების, ფორმატისა და პრინციპების შესახებ.

- ინფორმირებული თანხმობა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა: თითოეულ პირს მიეწოდა დეტალური ინფორმაცია შესწავლის მიზნების, ფორმატის, ხანგრძლივობისა და მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება/დაცვის თაობაზე; მონაწილეები გაეცვნენ მათ უფლებას, უარი თქვან მონაწილეობაზე ნებისმიერ დროს. შედეგად, მათგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა, რაც ნებაყოფლობითი მონაწილეობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.
- კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა: დამკვეთ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, მიღებულ იქნა მონაწილეებთან დაკავშირებული პირადი ინფორმაციის დაცვასა და კონფიდენციალურად შენახვასთან დაკავშირებით ყველა შესაბამისი ზომა. მონაწილეებს განემარტათ, რომ ადვილად იდენტიფიცირებადი მახასიათებლებიდან გამომდინარე (განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის თანამშრომლები), მოპოვებული ინფორმაცია ზოგადი სახით იქნება გამოყენებული, მათი სახელისა და გვარის მითითება ანგარიშში არ მოხდება. აუდიო ფაილი შეინახება ISC-ში ანგარიშის მომზადებიდან 24 თვის განმავლობაში, რაც მოგვცემს შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში დამატებითი განმარტების, ან დასკვნების გაკეთების კუთხით. ამასთან, მონაწილეებს განემარტეთ რომ კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევა მკვლევართა მხრიდან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა ვინმეს სიცოცხლეს და/ან ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე (მაგ. ბავშვზე ძალადობის შემთხვევა).
- „არ ავნო“ პრინციპის დაცვა: მკვლევარები უზრუნველყოფენ მონაწილეთა დაცვას ზიანისგან. ერთი მხრივ, ინფორმაციის შეგროვება ემსახურება პროექტის მიზნებისთვის ინფორმაციის მოპოვებას, თუმცა მეორე მხრივ, აუცილებელია მასში მონაწილე პირების ინტერესების დაცვა და გათვალისწინება. ინფორმირებული თანხმობის მიღებამდე, ISC გუნდი შეეცდება გაითვალისწინოს და დაიცვას მონაწილეები ყველა შესაძლო არასასურველი შედგისაგან.

1.5.კვლევის შეზღუდვები

კვლევის განხორციელებისთვის არსებული რესურსი, როგორც დროითი, ასვე სხვა თვალსაზრისით, არის მნიშვნელოვნად ლიმიტირებული. პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების კუთხით არსებული საჭიროებების შესწავლა განხორციელდა მხოლოდ ფოკუს ჯგუფების მეთოდის გამოყენებით (4 ჯგუფთან). თავისთავად, თვისობრივი კვლევის მხოლოდ ამ მეთოდის გამოყენება ვერ იქნება გარანტი თემის საჭიროების კუთხით სრული სურათის მიღებისა, მით უფრო შეუძლებელია და მეტიც, დაუშვებელია მიღებული ინფორმაციის განზოგადება. აღნიშნულის მიუხედავად, ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია იძლევა შესაძლებლობას ვისაუბროთ ძირითად ტენდეციებსა და მახასიათებლებზე თემში არსებული სოციალური პრობლების შინაარსათან და მათ საპასუხო ღონისძიებებთან მიმართებით.

2. ძირითადი მიგნებები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საკვლევ საკითხებთან მიმართებით გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ტენდენციები/მახასიათებლებები, რომლებიც ძირითადი მიგნებების სახით არის წარმოდგენილი.

- ➢ თემისთვის აქტუალურ სოციალურ საკითხებად/საჭიროებებად გამოიკვეთა ქვემოთ მითითებული ოთხი ძირითადი თემა, რომლის ანალიზიც მოხდა არსებული სოციალური პროგრამების ჭრილში და გამოიყო ე.წ. „ნაპრალები“ გამოკვეთილ საჭიროებებსა და სოციალურ პროგრამებს შორის:
- სიღარიბე, უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები: სიღარიბე, ისევე როგორც უმუშევრობა არის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა და მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახების კეთილდღეობის მდგომარეობასა და მათი ცხოვრების ხარისხზე. ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სოციალური დახმარებები ძირითადად ფინანსური ხასიათის არის. გამოიკვეთა რომ არ არსებობს დასაქმების და თვითდასაქმებისა ხელშემწყობი პროგრამები, რომელიც მოსახლეობას სიღარიბიდან თავის დაღწევაში დაეხმარებოდა;
- უსახლკარობა და არასათანდო საცხოვრისი: იკვეთება, რომ მზარდია იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ თავშესაფრით დაკმაყოფლებას. ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა თავშესაფრის მთხოვნელი ისეთი ოჯახების მდგომარეობა, რომლებიც მოწყვლადობის რამდენიმე კატეგორიაში თავსდებიან (მაგ. უსახლკარო და ამავდროულად შშმ პირი ანდა ძალადობის მსხვერპლი). მუნიციპალიტეტი ახორციელებს საცხოვრისის უზრუნველყოფის პროგრამას, თუმცა აღსანიშნავია რომ პროგრამა საჭიროებს გადახედვას და მოდიფიცირებას, რათა მან უკეთ უპასუხოს ამ კუთხით გამოწვევას;
- შშმ პირების, ხანდაზმულებისა და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების ზრუნვასთან დაკავშირებული საკითხები: ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფების იმ წარმომადგენლებს, რომელებიც დამოუკიდებლად ვერ ფუნქციონირებენ და აქვთ მუდმივი ანდა დროებით ზრუნვის/მოვლის საჭიროება უმეტესწილად არ მიუწვდებათ ხელი ღირსეულ ზრუნვაზე, მსგავსი მომსახურების არარსებობის გამო. შესაბამისი საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის შინ მოვლის/ოჯახის ასისტენტის პროგრამების არარსებობა უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ამ მიმართულებით.
- ქალების, ახალგაზრდებისა და ბავშვთა სპეციფიური მდგომარეობა: საჭიროებათა შეფასების შედეგად ვლინდება, რომ თემში მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგანან მრავალშვილიანი ოჯახები და მარტოხელა მშობლები, რომლებსაც ერთი მხრივ ბავშვებზე ზრუნვის გამო უჭირთ დასაქმება და მეორე მხრივ, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაშიც არ ჰყოფნით სახელწიფოსგან მიღებული დახმარებები. ამ მიმართულებით პრობლემურია შემდეგი ასპექტები: ოჯახის მხარდამჭერი და პრევენციული მომსახურებების არარსებობა (მაგ, მშობელთა განათლება და გადაუდებელი რეაგირების ფონდი); ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის შეთავაზებული სერვისების გადახედვის საჭიროება, რამდენად ადეკვატურად პასუხობს მათ მოთხოვნებს ან/და აქვთ, თუ არა მსხვერპლებს ხელმისაწვდომობა შესაბამის მომსახურებებზე თემში.

- მუნიციპალურ დონეზე არსებული სოციალურ პროგრამები, ძირითადად, ატარებენ ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხასიათს და თითქმის არცერთი მათგანი არ ითვალისწინებს სოციალურ მომსახურებას; როგორც წესი ერთჯერად გასაცემლებს მნიშვნელოვანი ცვლილების გამოწვევა და ოჯახებისათვის გრძელვადიანი სარგებელის მოტანა არ შეუძლია. არსებული პროგრამების პირობებში, მწვავე სოციალური პრობლემები ადეკვატური რეაგირების გარეშე რჩება და არ იძლევა ოჯახების მდგომარეობის სასიკეთოდ ცვლილების შესაძლებლობას;
- პრობლემის მასშტაბების სრულფასოვანი კვლევა არ ხდება, არ არსებობს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა, რომელიც გამოკვეთდა კონკრეტული სოციალური პრობლემის მასშტაბებსა და თავისებურებებს, რასაც შემდგომ დაეფუძნებოდა ახალი პროგრამები და პროგრამული პრიორიტეტები;
- ამასთან, სუსტია არსებული პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. პროგრამებით განსაზღვრული ინდიკატორებით რთულია შეფასებულ იქნას პროგრამის წარმატება და მიღწევები, ხოლო თავად მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები არ არის ნათელი;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში, მიუხედავად ზესტაფონის მერიის სოციალური პროგრამების საერთო ბიუჯეტის ზრდისა, საგულისხმოა, რომ არ შეწყვეტილა არცერთი მიმდინარე პროგრამა და პირიქით, არ გაჩენილა რაიმე ახალი პროგრამა[1];
- უწყებებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის ნაკლებობა შეინიშნება სოციალური პროგრამების/მომსახურებების განვითარების მიმართულებით, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტსა და ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიულ სამსახურებთან. არ არსებობს ნათელი სქემა და მექანიზმები კომუნიკაციისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების თვალსაზრისით;
- თემის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის, რომ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირები და სამსახურის თანამშრომლები გამოხატავენ ღიაობას არსებული სოციალური პროგრამების ცვლილებისთვის, რათა იგი მეტად პასუხობდეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს და ამასთან, იყოს ეფექტური;
- ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა რეკომენდაციები სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის შეიძლება დავყოთ შემდეგ ძირითად კატეგორიებად: დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი პროგრამები; ზრუნვის/შინ მოვლისა და რეაბილიტაციის პროგრამები; ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება (მშობელთა განათლება); კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების მოქნილი მხარდაჭერის ფონდი; ყველაზე მოწყვლადი ოჯახების შეფასების ინსტრუმენტის განვითარება; ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების ცენტრები; სოციალური მუშაობის განხორციელება თემის დონეზე; თანამონაწილეობითი მიდგომებისა და ფართომასშტაბიანი კვლევის საფუძველზე დაგეგმილი პროგრამები.

[1] შესაძლებელია, რომ რომელიმე პროგრამის შიგნით განხორციელდა რაიმე სახის ცვლილება, თუმცა კვლევის დიზაინი არ ითვალისწინებდა ამ დონეზე განხორციელებული ცვლილებების შესწავლას, შესაბამისად, ეს ნაწილი არ არის ანგარიშში ასახული.

3. რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოვლენილი სოციალური პრობლემებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის შემდეგი ორი მიმართულებით:

სოციალური პროგრამების ადმინისტრირების გაუმჯობესება მუნიციპალურ დონეზე:

- მუნიციპალური სოციალური პროგრამები, ეტაპობრივად, უნდა გადავიდეს პროგრამირების ისეთ მოდელზე, რომელიც ითვალისწინებს სოციალური მომსახურების მიწოდებას ან ვაუჩერულ დაფინასებას, ნაცვლად ფინანსური დახმარებებისა (განსაკუთრებით ერთჯერადი გასაცემლის სახით);
- მუნიციპალური სოციალური პროგრამები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: პროგრამის დასახლება, მიზანი და სპეციფიური მიზნები, სამიზნე ჯგუფები, პროგრამის აღწერა, პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები და პროცედურები (წესი), მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, ბიუჯეტისა და საჭირო რესურსების შესახებ ინფორმაცია;
- მუნიციპალური სოციალური პროგრამები უნდა განხორციელდეს, ტენდერის/კონკურსის საფუძველზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციისგან მომსახურების შესყიდვის გზით (ე.წ. „აუთსორსინგი“) ანდა ვაუჩერული დაფინასების წესით, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას აწარმოოს მონიტორინგი; ამასთან, ვაუჩერული დაფინასების გამოყოფის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მოხდეს ანგარიშწორება უშუალოდ სერვისის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ანდა წარმოდგენილი ინვოსის და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, ნაცვლად თანხის გაცემის პრაქტიკისა.
- მუნიციპალური პროგრამების განვითარება, საწყის ეტაპზე, უნდა მოხდეს საპილოტე რეჟიმში და მას შემდეგ უნდა გავრცელდეს უფრო ფართოდ, რაც შეფასებით დადასტურდება მისი ეფექტიანობა;
- მუნიციპალურ დონეზე უნდა მომზადდეს სოციალური პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების გზამკვლევი და შესაბამისი ინსტრუმენტები. თითოეულ მუნიციპალურ პროგრამას უნდა ახლდეს მონიტორინგისა და შეფასების გეგმა;
- პროგრამების განვითარება იმავდროულად უნდა ითვალისწინებდეს ადამიანური რესურსების განვითარებას, შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას ახალი პროგრამის განხორციელებისა და მართვისთვის.
- სოციალური მუშაობის რეფორმის კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია შეიქმნას მოწყვლადობის განსაზღვრელი შიდა ინსტრუმენტები და სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც უკეთ გამოავლეს მოწყვლად მდგომაროებაში მყოფ ოჯახებს;
- მუნიციპალურ დონეზე უნდა შეიქმნას განახლებადი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და მართვის მოქნილი სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის მონაცემების რაოდენობრივი და სტატისტიკური სახით დროულ დამუშავებას;
- ადგილობრივი თემის დონეზე, სახელმწიფო უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ბიზნეს სექტორს შორის კოორდინაციის მექანიზმის გაწერა და სისტემური დიალოგის ხელშეწყობა სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებით.

საჭიროებაზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების განვითარება:

- მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის შეთავაზებული უნდა იქნას მხარდაჭერის ისეთი მოდელები, რომელიც წაახალისებს მათ შრომის ბაზარზე ჩართულობას ანდა ეკონომიკურ აქტივობას (აქცენტით ქალთა და ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებაზე); ამ ტიპის ეკონომიკური მხარდაჭერა შეიძლება გულისხმობდეს (და არ შემოიფარგლებოდეს) შემდეგით: ა). პროფესიული განვითარების/გადამზადების კურსების და შემოსავლის წყაროს მიგნებასთან დაკავშირებული სწავლების ღირებულების გადახდა; ბ). თვითდასაქმებისა და შემოსავლის წყაროს შექმნისათვის საჭირო საშუალებების (ხელსაწყოების/პროდუქტის) გადაცემა; გ). დაფინანსების გაცემა მცირე ბიზნესის წამოსაწყებად ანდა გასაძლიერებლად, რომელიც ასევე უნდა ითვალისწინებდეს სოციალური უნარების გასაუმჯობესებელ და ბიზნესის მართვის ტრენინგებს;
- შინ მოვლის მომსახურების განვითარება ზრუნვის საჭიროების მქონე იმ პირებისთვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები), რომლებიც დამოუკიდებლად ვერ ფუნქციონირებენ და აქვთ მსგავსი მომსახურების მიღების საჭიროება. მათ შორის, ტოტალურად უსინათლო პირებისათვის, ასისტენტის მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის დიაგნოსტირებისა და ABA თერაპიის დაფინანსების უზრუნველყოფა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი რეაბილიტაციის პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფა. აღნიშნული შეიძლება იქცეს არსებული პროგრამის ქვე-პროგრამად და გათვალისწინებულ იქნას 2020 წლის ბიუჯეტში;
- მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა ისეთი პროგრამების განვითარებით, როგორიცაა ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები (მაგ, მშობელთა განათლება) და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მოქნილი/გადაუდებელი მხარდაჭერის ფონდი;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერი ქვე-პროგრამის გადახედვა და გარდაქმნა ცალკე პროგრამად, რომელიც გაძლიერებული იქნება ისეთი კომპონენტებით, როგორიცაა ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და გადაუდებელე სიტუაციებში შესაბამისი მომსახურების დაფინანსება;
- საცხოვრებლის არმქონე ანდა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მყოფ ოჯახებზე მიმართული პროგრამების შინაარსობრივი გადახედვა. შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, ორმაგი ან მეტი სახის მოწყვლადობის მატარებელი ოჯახებისთვის (მაგ. ოჯახი რომელსაც აქვს საცხოვრებლის პრობლემა და ამავდროულად არის ძალადობის მსხვერპლი ანდა ოჯახში ცხოვრობს შშმ პირი ანდა აქვს დევნილის სტატუსი) პრიორიტეტის მინიჭება. პროგრამის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია შემცირდეს პროგრამით მოსარგებლეთა ჯამური რაოდენობა, ხოლო მკვეთრად გამოკვეთილი საჭიროების მქონე ოჯახებისთვის გაიცეს უფრო მოცულობითი მხარდაჭერა, რომელიც საკმარისი იქნება საცხოვრებლის შესყიდვის ანდა სათანადოდ შეკეთებისთვის[2].

[2] კონტრაქტი შედგენულ უნდა იქნას იმგვარად, რომ შესყიდული საცხოვრებლის გაყიდვა ანდა გასხვისების შესაძლებლობას, გარკვეული ვადით, არ უნდა იძლეოდეს.

4. კვლევის შედეგები

წინამდებარე თვისებრივი კველევის შედეგები წარმოდგენილია ხუთ ძირითად თემატურ ბლოკად, რომელიც იდენტურია კვლევის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული საკითხებისა. აღსანიშნავია, რომ თითოეული თემატური ბლოკი ძირითადად მოიცავს ფოკუს ჯგუფებისა და ექსპერტული (ჩაღრმავებული) ინტერვიუს საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას. ამასთან, ბლოკების უმრავლესობაში ინფორმაცია გამყარებულია სამაგიდო ანალიზის ფარგლებში განხორციელებული ხელმისაწვდომი კვლევის ანგარიშების, დოკუმენტაციისა და რაოდენობრივი ინფორმაციის მიმოხილვით.

4.1. თემის დონეზე არსებული სოციალური პრობლემები და საჭიროებები

კვლევის მონაწილე სამიზნე ჯგუფები მიუთითებდნენ თემში არსებულ ისეთ სოციალურ პრობლემებზე, როგორიცაა სიღარიბე, უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები, უსახლკარობა და არასათანადო საცხოვრისი, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები და მზრუნველობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. მწვავე და აქტუალური პრობლემების ჩამონათვალში ასევე მოხვდა ბავშვთა, ახალგაზრდებისა და ქალთა სპეციფიური საკითხები.

4.1.1. სიღარიბე, უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები:

სოციალური მომსახურების სააგენტოს, 2019 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, რომლის მოსახლეობის საერთო რაოდენობა არის 57.600 პირი, საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობას - 6336, სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობას - 2785, სახელმწიფო პენსიაზე მყოფ პირთა რაოდენობას კი 12966 პირი შეადგენს. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ოთხივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს სიღარიბესა და უმუშევრობას, როგორც მთავარ გამოწვევას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის. *„უმუშევრობა არის ყველაზე დიდი პრობლემა. ყველაფრის თავი და თავი, შუაც და ბოლოც არის ეს თემა“. (აქტიური მოქალაქე)* ამ მიმართულებით, ასევე განხილულ იქნა შემოსავლების სიმწირე. მონაწილეების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მრავლადაა ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანი ჩართულია სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ვერ ახერხებს ამ საქმიანობიდან ბაზისური საჭიროების დასაკმაყოფილებელი შემოსავლების მიღებასაც კი. ამასთან, ხაზი გაესვა საკრედიტო ვალდებულებების არსებობას ბანკებსა და მიკრო საფინანსო ორგანიზაციებთან. *„ამდენი უსახსრობით, ოჯახებში ყოველდღე არის ძალიან დაძაბული სიტუაცია. ამ ყველაფერს ემატება ბანკის ვალები, რომელიც საშინელ დღეში აგდებს მოსახლეობას“ (აქტიური მოქალაქე)*

მონაწილეების ისეთმა ჯგუფებმა, როგორიც იყო მუნიციპალიტეტის თანამშრომლები და ფორმალური ლიდერები, აღნიშნეს არსებული სოციალური დახმარების პროგრამის რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა. პირველი, რომ პროგრამის მეთოდოლოგია ვერ უზრუნველყოფს ქულების სამართლიან გადანაწილებას და ხშირად ნამდვილად საჭიროების მქონე ოჯახი ვერ იღებს სოციალურ დახმარებას. მეორე, პროგრამა სპეციალურად არის აგებული იმგვარად, რომ მინიმალურ სახსრებს გამოყოფს ოჯახების მხარდასაჭერად, რაც ხშირ შემთხვევაში ოჯახების ბაზისური საჭიროების დასაკმაყოფილებლადაც კი არ არის საკმარისი. მესამე, იმ ფონზე, რომ

დახმარებები მინიმალურია, იგი მაინც ვერ ახდენს ადამიანის მოტივირებას სამუშაოს ძიების კუთხით და მეტიც, ხდის მოქალაქეს დახმარებაზე დამოკიდებულს. *„ყველა მიჩვეულია ცდილობს არ გამორჩეთ ეს დახმარებები. რომ გავიდეთ სოფლებში, ურჩევნიათ აიღონ ის მცირე სოციალური მცირედი, ვიდრე თვითონ გამოიმუშაონ“.* (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი). აქვე აღსანიშნავია, რომ გამოითქვა განსხვავებული შინაარსის მოსაზრებებიც სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულების თვალსაზრისით, რომელიც მიუთითებს, რომ შესაბამისი მხარდაჭერის პირობებში შესაძლებელია არსებული დამოკიდებულების ცვლილება. ადეკვატური დახმარების შემთხვევაში, მონაწილეების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ სოციალური დახმარების მიღება აღარ იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრების ადამიანის ერთადერთი მოტივატორი და ხსნა. *„ეს გლეხი ჩიხშია შესული, მან არ იცის რომ 500 მილიონიანი ბაზარი გვიყურებს ევროკავშირის სახით, არ იცის ამ სიკეთის შესახებ. რომ შეუძლია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მოიყვანოს და გაიტანოს ბაზარზე. ვინმე მოვიდა და უთხრა მას ამ შესაძლებლობის შესახებ? მართლა თვითონ ხომ არ მოიკიდებს და გაიტანს იმ ბაზარზზე. თუ რეალური მხარდაჭერა იქნება, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გლეხებში ამის მზაობა არის. არავის არ უნდა ისე ცხოვრება“.* (აქტიური მოქალაქე). ერთ-ერთ ჯგუფში, მონაწილემ აღნიშნა რომ ადამიანების სტიმულირებისთვის დასაქმდნენ და თავი დააღწინ გაჭირვებას, მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ სათანადო მხარდაჭერა. *„სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულ ადამინებს ჭირდებათ ვინმე, ვინც მიმართულებას მისცემს. ამ კოლეჯის მაგალითზე რომ ავიღოთ, აქაც გვყავს ასეთი სტუდენტები და ამ შფოთვაში არიან რომ სოციალური დახმარება არ შეუწყდეთ თუ სტაჟირებას გავლიან.“* (აქტიური მოაქალაქე)

4.1.2. უსახლკარობა და არასათანადო საცხოვრისი

მონაწილეთა მიერ ასევე ერთ-ერთ მწვავე საკითხად იდენტიფიცირდა უსახლკარობა და საბინაო პრობლემები, რომელიც თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემასთან. იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა კომბინირებულია ასევე სხვა ისეთ სოციალურ პრობლემებთან, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობები და ძალადობის მსხვერპლობა, საერთო სურათი ოჯახისა კიდევ უფრო მძიმდება. *„საკმაოდ გავრცელებულია ზესტაფონში ბინადრობის საკითხი. მეც უბინაო ვარ და ამასთან მყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი. ამჟამად, ვცხოვრობთ მეორე სართულზე და ფაქტობრივად, ოთხ კედელშია გამოკეტილი, ვერ გამომყავს გარეთ. ადრე დამყავდა დღის ცენტრში, იქაა გაზრდილი. მანამდე არ იყო წონით ამხელა და ვუმკლავდებოდი. ჩემმა ნათესავმა რომ ეს ბინა გაყიდოს, ჩვენ ქუჩაში ვრჩებით.“ (ბენეფიციარი)*

რესპონდენტები მიუთითებდნენ, რომ ზესტაფონში არიან ოჯახები, რომლებიც ამ კუთხით მხარდაჭერას საჭირობენ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს,რომ პრობლემის მასშტაბი სათანადოდ არ არის შესწავლილი. არ მოიპოვება ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც მოგვცემდა უსახლკარო და არასათანადო საცხოვრებელში მცხოვრები ადამიანების რაოდენობას ზესტაფონის მასშტაბით.*„ახალი შემთხვევა მაქვს ახლა და თუნდაც ეს ავიღოთ. ხანდაზმული, ქუჩაში მცხოვრები ბენეფიციარი, რომელიც „ფერომედში“ გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას, მაგრამ დაასრულა მკურნალობის პერიოდი და ჭირდებოდა თავშესაფრის მომსახურება. სოციალურმა სააგენტომ კი მოამზადა საბუთები და გაგზავნა, მაგრამ რიგებია და ყოვნდება ჩარიცხვა (ხანდაზმულთა თავშესაფრში). ასეთ დროს უნდა ეხმარებოდეს მუნიციპალიტეტი, დროებითი საცხოვრებლები მაინც უნდა იყოს, რომ ადამიანი ქუჩაში არ დაგრჩეს“ (ფორმალური ლიდერი).*

4.1.3. ზრუნვის საჭიროების მქონე ჯგუფები

ფოკუს ჯგუფების ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდეგი მოწყვლადი ჯგუფები, მხარდამჭერი/ზრუნვის მომსახურებების მიღების თვალსაზრისით:

ა). მარტოხელა ან/და გამოხატული ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ხანდაზმულები, რომლებიც ვერ ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად;
ბ). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათზე მზრუნველი პირები;
გ). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირები, რომლებიც ვერ ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად;
დ). ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გამოწვევის მქონე პირები, რომლებიც საჭიროებენ ყოველდღიურ მზრუნველობას.

აღინიშნა, რომ ამ ადამიანებისა და მათი მზრუნველებისთვის არ არსებობს არანაირი მხარდაჭერა და მომსახურებები, გარდა სახელმწიფო ვაუჩერული (ცენტრალური) სისტემით დაფინანსებით არსებული დღის ცენტრის „ორიონის“ მომსახურებისა შშმ პირებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციის „კათარზისი“ ბაზაზე არებული უფასო სასადილოს სერვისსა. ამ მიმართულებით, ფოკუს ჯგუფების წევრების, მიერ გამოიყო შემდეგი პროგრამების/მომსახურებების საჭიროება:

ა) საჭიროების მქონე პირების შინ მოვლის ანდა ასისტენტის სერვისი (შშმ პირები, ხანდაზმულები, ჯანმრთელობის სხვა სახის პრობლემის მქონე პირები); *„ჩვენს მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 80 წლის ხანდაზმული ადამიანი, რომელიც დიდი ხანია ითხოვს მომვლელს, ინტერესი არავისგან არ ჩანს“* (ბენეფიციარი). ერთ-ერთ ჯგუფში განხილულ იქნა უშუალოდ უსინათლო პირებზე მორგებული შინ მოვლის სერვისის აუცილებლობა *„ტოტალურად უსინათლოებისთვის (18-ია ზესტაფონის მასშტაბით) უნდა იყოს შინმოვლის პროექტი. ვისაც არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება და არავინ ყავს სახლში, მათთვის იქნებოდა ეს პროგრამა. გასათვალიწინებელია სოციალურ პროგრამებში და კარგი იქნება თუ მერიის მხრივ გაკეთდება“.* (ბენეფიციარი)

ბ). შშმ არასრულწლოვანი და ზრდასრული პირებისთვის სხვადასხვა განვითარების შეფასებისა და რეაბილიტაციის კურსის დაფინანსების საჭიროება; *„ბავშვის შეფასება რომ გინდოდეს აქ ვერ მოხდება. გაგაგზავნიან გაგოშიძის კლინიკაში, სადაც 270 ლარი ღირს ამ მომსახურების მიღება. მინდა ჩემი ბავშვის შეფასება, მაგრამ ვერ ვახერხებ. 40 ბავშვია როგორც ვიცი ჩვენს რაიონში აუტისტური სპექტრის. მაგალითად, რომ ჩაიდოს აუტისტური სპექტრის ბავშვების კვლევა და შესწავლილ იქნას ეს საკითხი.“* (აქტიური მოქალაქე).

რაც შეეხება რეაბილიტაციის მიმართულებას ითქვა, რომ ზესტაფონის რაიონის დღის ცენტრის მომსახურება ვერ ფარავს სარეაბილიტაციო კომპონენტს, რადგან ცენტრალური ბიუჯეტიდან მწირი რესურსებია გამოყოფილი, თუმცა მუნიციპალიტეტში არის ზოგიერთი სპეციალისტი და შესაძლებელია ამ მომსახურების შესყიდვა, თუკი ვინმე დააფინანსებს. *„შშმ პირებს ჭირდებათ სხვადასხვა სახის რეაბილიტაცია, რომლებიც არ არის დღის ცენტრის მომსახურების ნაწილი. ABA თერაპია აუცილებელია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვისთვის. არიან ნამდვილად ასეთი თერაპევტები ჩვენთან. აქვე, შეზღუდულ შესაძლელობობას სხვადასხვა მიმართულება აქვს კიდე ზოგს ქცევის თერაპევტი ჭირდება, ზოგს კვების თერაპევტი, მიეცი შენ ის ვაუჩერი და მშობელი თვითონ გაარკვევს ვისთან უნდა მიიყვანოს ბავშვი“.* (აქტიური მოქალაქე)

გ). მზრუნველთა დახმარების/მხარდამჭერი პროგრამების განვითარება - განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს, მზრუნველ/მომვლელ პირთა მდგომარეობა, როგორც ემოციური, ასევე ფინანსური თვალსაზრისითაც. შშმ პირებისა და ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების მქონე პირების მზრუნველები იძულებული არიან ჰიპოტეტურადაც კი ვერ განიხილონ დასაქმებისა და შემოსავლების რაიმე წყაროს გაჩენის შესაძლებლობა. *„ის ჰენსია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჰირს ეძელვა 200 ლარის ოდენობით ძალიან მწირია მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ხშირად მხარდაჭერის მონიტორინგი გვაქვს და შევდივართ ოჯახებში, გვეკითხებიან რომ არ არის მომვლელის ჰენსია? ეს ხალხი ჰარალიზებულია. ისინი უვლიან უმძიმესი ჯანმრთელობის ჰრობლემების მქონე ადამიანებს, რომელსაც ჭირდება ერთი ადამიანის რესურსი მთლიანად. ის ვერც კი იმუშავებს, ასეთი შესაძლებლობა რომც გაჩნდეს.“* (ფორმალური ლიდერი). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზრუნვასთან დაკავშირებული საკითხები მძიმე გავლენას ახდენს როგორც მოწყვლადი ოჯახების წარმომადგენლებზე, ასევე შეიძლება წყარო გახდეს ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით ძლიერ ოჯახებში მნიშვნელოვანი კრიზისებისა. *„მე ჩემს მაგალითზე გეტყვით, რომ მიუხედავად იმისა რომ მქონდა ხელფასი და საჯარო მოხელე ვიყავი/ვარ, ჩემი შვილის ავადმყოფობის გამო, ჩემი მეუღლეც ცუდად იყო და 4 წლის განმავლობაში ფეხზე ვერ დგებოდა, მაგრამ არავინ დამხმარებია. ახლა, მე დაქირავებული მყავს მომვლელი ჩემი შვილისთვის, რადგან მისი გადაადგილებაც უჭირს. მე თავად ვყიდულობ ჩემი შვილისთვის ბინაზე მოვლის სერვისს. ბოლომდე არ გეყოფა ძალა, რაც არ უნდა ძლიერი ადამიანი იყო. მომვლელისთვის თანხის გადახდის ჰროგრამა შეიძლება იყოს ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი.“* (ფორმალური ლიდერი, შშმ პირის მშობელი)

აქვე ხაზი გაესვა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რეაბილიტაციისთვის ვაუჩერული დაფინასების გამოყოფის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მოხდეს ანგარიშწორება უშუალოდ სერვისის მიმწოდებელთა გაფორმებული ხელშეკრულების, ანდა წარმოდგენილი ინვოსისა და კალკულაციის საფუძველზე, ნაცვლად თანხის ხელზე გაცემისა იგივე მიზნებისთვის. თანხის ხელზე გაცემის პრაქტიკა აჩვენებს რომ ყოველთვის იმ მიზნებს არ ხმარდება, რისთვისაც მოხდა დაფინასება. ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას, შეზღუდული შესაძლებლობის და სხვა ჯანმრთელობის ქრონიკული ან დროებითი პრობლემების მქონე პირებისა და ხანდაზმულების წინაშე არსებული გამოწვევების განხილვის დროს, მონაწილეთა მხრიდან ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ვის რა ტიპის მხარდაჭერა, დახმარება და მომსახურება ჭირდება ძალიან ინდივიდუალურია და შესაბამის შესწავლასა და ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. *„ჩემი აზრით, ვის როგორი მხარდაჭერა ჭირდება, ძალიან ინდივიდუალურია. ვიღაცას ფინანსური მხარდაჭერა ჭირდება, ვიღაცას ამოსუნთქვის/დასვენების სერვისი და ვიღაცას რაღაცის სწავლება და გადაშზადება.“* (ფორმალური ლიდერი)

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 2200 პირია სოციალური დახმარების/სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები, რომელთაგან 169 არის არასრულწლოვანი. აქედან, დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობს 37 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი, ხოლო რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაში კი ჩართულია 9 ბავშვი. აქვე აღსანიშნავია, რომ 45 ბავშვი იღებს ადრეული განვითარების პროგრამის ფარგლებში მომსახურებას.

დიაგრამა N1: შშმ პირთა რაოდენობა სტატუსის მიხედვით



სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს ზრდასრულ პირთათვის დანიშნულ მეურვეთა რაოდენობასაც, საიდანაც ჩანს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით, 2017 წელს 87 პირს დაენიშნა მზრუნველი, 2018 წელს 51-ს, ხოლო 2019 წელს კი 10-ს.

დიაგრამა N2: მეურვე-მზრუნველთა რაოდენობა



4.1.4. ბავშვების, ახალგაზრდებისა და ქალთა სპეციფიური მდგომარეობა

ზემოთ ჩამოთვლილი აქტუალური პრობლემების პარალელურად, ფოკუს ჯგუფურ დისკუსიას ბენეფიციარების, აქტიური მოქალაქეებისა და ფორმალური ლიდერების სამიზნე ჯგუფებთან, თან გასდევდა ბავშვთა, ახალგაზრდებისა და ქალთა საკითხები. როგორც მონაწილეები მიუთითებდნენ, თემში განსაკუთრებით მძიმეა მარტოხელა[3] და მრავალშვილიანი დედების[4] საკითხები. *„მარტოხელა დედა რას ნიშნავს იცით? მე რომ ვენახში მივდივარ სამუშაოდ, ჩემი შვილი (2 წლის) ხის ძირში უნდა დავსვა და შორიდან ვუყურო. საჯარო ბაღიც არ არის სანდო ადგილი, არაფერს ის არ სთავაზობს ბავშვს“ (აქტიური მოქალაქე).* მონაწილეთა მხრიდან, მრავალშვილიანი ოჯახები განხილულ იქნა მრავალშვილიანი დედის კონტექსტში. *„მრავალშვილიან დედებზე მინდა ვთქვა, რომ არიან მძიმე მდგომარეობაში. შეიძლება ეს გარედან არ ჩანს, მაგრამ თუ კარგად ჩაიხედები ამას ნახავ. ამ ყოფაში მშობლებს განდაგურებული აქვთ ნერვები და ისინი ვერ გაზრდიან ჯანსაღი ფსიქიკის შვილებს. მე დედა ვარ და რაღაცაზე რომ ვარ გაღიზიანებული გამორიცხულია რომ მან ეს არ იგრძნოს, მიუხედავად იმისა რომ ძაან ვცდილობ ეს არ იგრძნოს. ნადვილად ჭირდებათ ასეთ ოჯახებსა და ბავშვებს ფსიქოლოგიური დახმარება. ძალიან ხშირად ასეთ მდგომაროებაში ეს დედა ძალადობს შვილზე, შეიძლება არა იმდენად ფიზიკურად, რამდენადაც ფსიქოლოგიურად, რადგან თავად მუდმივად სტრესშია. ასეთ ყოფაში გაზრდილი ბავშვები, მუდმივად დასჯილი ბავშვები არიან, არ იციან რა არის ბედნიერება“ (აქტიური მოქალაქე)*[5]

ასევე, ქალთა საკითხებში დასახელდა ისეთი მწვავე სოციალური პრობლემა, როგორიცაა ოჯახში ძალადობა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან დაფიქსირდა საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ ოჯახში ძალადობა არ წარმოადგენს რეალურ პრობლემას და იგი მხოლოდ სიღარიბის კონტექსტში უნდა იქნას გაგებული. იმ მონაწილეების მხრიდან, რომლებსაც უშუალოდ ჰქონიათ შემხებლობა ძალადობის შემთხვევებთან, აღინიშნა, რომ ამ დროს სახელმწიფოს თავშესაფრების სერვისების გამოყენება ხდება, თუ ძალადობა დადასტურდა და მსხვერპლის ოჯახიდან გაყვანის საჭიროება დადგა, თუმცა ეს მომსახურება დროებითია და დაბრუნების შემდეგ ეს ქალი რჩება მარტო, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე. განსაკუთრებით, ხაზი გაესვა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მნიშვნელოვნებას. ბენეფიციართა მხრიდან გაზიარებული იქნა ისეთი შემთხვევებიც, როცა პოლიცია არასათანადოდ რეაგირებდა ძალადობის შემთხვევაზე. *„ძალადობის მსხვერპლების შემთხვევაში, ძირითადად, გადაგვყავს თავშესაფარში, თუ ქალი ამას აირჩევს. ხშირ შემთხვევაში უფრო ნათესავთან ცხოვრებას ირჩევენ. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რომ უჩნდებათ შემოსავლის პრობლემა. კარგავენ ქმარს და მათთან ერთად შემოსავალსაც. კარგი იქნება რომ იგივე ქირით იყოს დახმარება მათთვის და საწყის ეტაპზე ფინანსურად გაძლიეროს ქალი“* (ფორმალური ლიდერი). ამასთანავე, პრობლემად დასახელდა ძალადობის მიმღებლობა და გენდერული სტერეოტიპები, რომლის საილუსტრაციოდაც შემდეგი მოსაზრებაა წარმოდგენილი: *„კიდევ ერთი პრობლემა, ჩვენს კოლეჯში (m2) არ მოდიან*

---

[3] მარტოხელა მამები როგორც ცალკე კატეგორია მონაწილეთა მხრიდან არ დასახელებულა

[4] მრავალშვილიანი დედების პრობლემა შესაძლებელია განხილულ იქნას მრავალშვილიანი ოჯახების კონტექსტშიც, თუმცა მონაწილეები ყურადღებას ამახვილებდნენ დედების, როგორც მთავარი მზრუნველი პირების როლზე. სწორედ ამიტომ, ანგარიშში ეს საკითხი მოხვდა მრავალშვილიანი დედის და არა მრავალშვილიანი ოჯახის კონტექსტში.

[5] ის, რომ შემთხვევაში მოყვანილია მრავალშველიანი დედის მაგალითი ძალადობის კონტექსტში, არ გვაძლევს საფუძველს მრავალშვილიანი დედობა ავტომატურად დავაკავშიროთ ძალადობასთან. ციტატა რესპონდენტის მონათხრობიდან მრავალშვილიანი დედების მძიმე ყოფისა და უფრო ამ ყოფის ბავშვზე გავლენის საილუსტრაციოდ არის მოყვანილი.

და არ სწავლობენ ქალები. ესეც სტეროტიპებია. რატომღაც წარმოუდგენიათ რომ მშენებლობაზე არ არის ქალის საქმე. შეუძლია მღებავი გახდეს ან სანტექნიკოსი. თან ჩვენ არ გვაქვს დაყოფა ქალური და კაცური პროფესიები. არ ვმიჯნავთ ამ თვალსაზრისით. შემდუღებელი ქალებიც კი გვყავს პროფესიით" (აქტიური მოქალაქე) იქვე აღნიშნულ იქნა, რომ ეს იმ ფონზე ხდება, როცა ქალები სოფლად უმძიმეს სამუშაოს ასრულებენ და ამაზე არავინ არ საუბრობს. *„ამ დროს ქალები სოფლად, ისეთ მძიმე და დამამცირებელ საქმეს აკეთებენ, შედუღება რა მოსატანია იმასთან. ძალადობაზე აღარც კი ვლაპარაკობ".* (აქტიური მოქალაქე).

2017 წელს, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მიერ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ქალთა საჭიროების კვლევის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „ქალთა გენდერული საჭიროებების კუთხით დასახელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დახმარების საკითხი. გამოიკვეთა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების მხარდაჭერის აუცილებლობა ადგილობრივი მეწარმე ქალებისათვის, მათთვის ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად".

თემის საჭიროებების მიმოხილვის ნაწილში, ყურადღება გამახვილდა უკიდურესად ღარიბ ბავშვიან ოჯახებზე, რომლებიც საჭირობენ დამატებით მხარდაჭერას. ამასთან, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ შეწყვეტილი ან შეჩერებული სოციალური დახმარება კიდევ უფრო ამძიმებს ასეთი ოჯახების ყოფას. განსაკუთრებით, პრობლემა ექმნებათ კვების კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია მათთვის პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ძირითადი მოხმარების ავეჯის (მაგ. საწოლი) მიწოდება. *„გვყავს ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც სოციალური დახმარების პროგრამის მიღმა რჩებიან და არიან კრიზისში, არ აქვთ ქულა და არიან უმუშევრები, მათ ჭირდებათ მინიმალური შემოსავალი მაინც. ეს ბენეფიციარები სოციალური მომსახურების სააგენტოშიც არინ კრიზისული დახმარების სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრირებული, მუდმივად მოლოდინის რეჟიმში. კვების დახმარება და საყოფაცხოვრებო ინვენტარი შეიძლება იყოს მათთვის უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერა".* (ფორმალური ლიდერი).

ბენეფიციართა ჯგუფში, გამოითქვა მოსაზრება რომ მშობლებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მშობლებს, ჭირდებათ დახმარება ბავშვის აღზრდაში, ცნობიერების ამაღლებისა და უნარების გაუმჯობესების კუთხით. *„ტრენინგები უნდა იყოს მშობლებისთვის. პრობლემა ისაა, რომ მშობლებმაც არ იციან ბავშვი როგორ გაზარდონ. ისეთ ასაკში ქორწინდებიან, რომ არაა გააზრებული. ბავში მშობელთან გაუცხოებულია და აგრესიული ხდება. ეს აგრესია გადააქვს სხვა ადამიანებზე. უნდა შეიქმნას ისეთი ცენტრები, სადაც ვიღაც ინტერესით მივა და ეს ცოდნა გაზიარებული იქნება." (ბენეფიციარი).*

ამ ნაწილში, ასევე გამოიკვეთა, რომ ზესტაფონიდან არის შემთხვევები ბავშვების სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის. ფოკუს ჯგუფის მონაწილე სახელმწიფო სოციალური მუშაკის ინფორმაციით, ბავშვების ოჯახიდან გაყვანა ძირითადად ძალადობით ან მშობლობის დაბალი უნარ-ჩვევებით არის განპირობებული. მისი მითითებით *„ამიტომ ასეთი ბავშვების ოჯახში დაბრუნება გაჭირდება".* მისი მოსაზრებით, ასეთ შემთხვევებზე უფრო ღრმა სამუშაოების განხორციელებაა საჭირო და მეტი მხარდაჭერა, რომ ოჯახი მოამზადო რეინტეგრაციისთვის. აქვე აღინიშნა, რომ საპატრიარქოს დაქვემდებარებულ სკოლა-პანსიონში ირიცხებიან ზესტაფონიდან ბავშვები, რომელთა გარკვეული ნაწილის დაბრუნება არის შესაძლებელი ოჯახებში. *„ნინოწმინდის პანსიონატში გვყავს ბევრი ბავშვი, რომლის დაბრუნება შეიძლება ბიოლოგიურ ოჯახში, თუკი ვიმუშავებთ ამ ბავშვებთან და ოჯახებთან და თუკი თვითმმართველობის პროგრამებიც შეგვიწყობს ამაში ხელს".* (ფორმალური ლიდერი)

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, რელიგიურ ინსტიტუტებს დაქვემდებარებული თავშესაფარების გარდა, ამჟამად 25 ბავშვი არის სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, რომელთანგან 16 ბავშვი ირიცხება მინდობით აღზრდაში, ხოლო 9 ბავშვი კი მცირე საოჯახო ტიპის სახლში. ბოლო 3 წლის განავლობაში, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბავშვის ოჯახში რეინტეგრაციის 7 შემთხვევაა განხორციელებული მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს მიერ. რაც შეეხება ქალის ან/და ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებს, შეინიშნება მსგავს შემთხვევებზე შესაბამის უწყებებთან მიმართვიანობის მზარდი ტენდენცია, 2017 წლიდან დღემდე. 2017 წელს 5 შემთხვევა, 2018 წელს 6 შემთხვევა, ხოლო 2016 წლის 1 ივნისის მდგომარეობით კი უკვე 17 შემთხვევა იქნა გადამისამართებული სააგენტოსთან.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2017 წელს განხორციელებული მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის თანახმად, რომელმაც მოიცვა სრულიად საქართველო, ბავშვიან შინამეურნეობაში სიღარიბის მაჩვენებლი უფრო მაღალია, განსაკუთრებით კი სოფლის ტიპის დასახლებებში. 2017 წელს, შინამეურნეობების 33%-ს სულ მცირე ერთი ბავშვი მაინც ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობებში ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდება ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლებიც. მაგალითად, ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის ზღვრებს ქვემოთ ცხოვრობს ერთ ან ორბავშვიანი ოჯახების, შესაბამისად 27.2% და 24.5%. როცა საქმე სამ ან მეტ ბავშვიან შინამეურნეობებს ეხებათ, ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი თითქმის 39.9%-მდე, ხოლო ზოგადი სიღარიბის შემთხვევაში – 33.4%-მდე იზრდება. ამავე კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში; საქართველოში, ყოველი მეხუთე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია. შეფასების თანახმად, ქვეყნის მასშტაბით, შინამეურნეობების 15.8%, მოსახლეობის 17.5%, ბავშვების 22.1% და პენსიონერთა 13.9% საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (საარსებო მინიმუმად დადგენილია თვეში 148.3 ლარი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე). 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერთა რიცხვი, შესაბამისად, 3.9, 4.2, 6.5 და 3.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

ქალთა და ბავშვთა მდგომარეობასთან ერთად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა მხრიდან, ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება ისეთი პროგრამები და პროექტები, რომლებიც ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის იქნებოდა საინტერესო, რაც მათი გადინების მიზეზი ხდება როგორც მუნიციპალიტეტიდან, ასევე ქვეყნიდან. *„ახალგაზრდებისთვის არაფერი არ არის და თუ ვინმეს რამე ინიციატივა აქვს, უნდა დაუჭიროს მხარი. მეც უკვე წასვლას ვაპირებ და დაბრუნებას აღარ ვფიქრობ აქეთ“*. (ბენეფიციარი) ამასთან, ხაზი გაესვა რომ ეს ყველაფერი ხდება მავნე ნივთიერების და სხვა არაჯანსაღი ინტერესების განვითარების წინაპირობა ახალგაზრდებში. *„ახალგაზრდებს ცხოვრების პერსპექტივა და მიზანი არაფერი არ გააჩნიათ. მშობლებიც უკვე ვერაფერს ვეღარ ეუბნებიან, რადგან თავის დროზე თავად ვერ შეუქმენს პირობები. მერე გარემოც არ უწყობს ამ ხალხს ხელს, რომ განვითარდეს, განსაკუთრებით ბიჭებს. ერთმანეთს ითრევენ უაზრო ცხოვრებაში და იმდენი ძალაც არ აქვთ, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ“*(აქტიური მოქალაქე).

4.2. მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების მიმოხილვა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით N37 (2018 წლის 19 დეკემბერი) 2019 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულება, რომლის დეკლარირებული განაცხადია - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულება მოიცავს შემდეგ პროგრამებს: ზესტაფონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და სოციალური პროგრამები, რომლის მიმდინარე წლის ჯამური ბიუჯეტია 1.790.600 ლარი. თავის მხრივ, სოციალური პროგრამები ჩაშლილია შემდეგ ქვე პროგრამებად *(იხ. ცხრილი 1)*. წარმოდგენილი პროგრამების ანალიზის საფუძველზე, ვასკვნით რომ პროგრამები ძირითადად ითვალისწინებს ფულადი სახის მხარდაჭერას, ან მატერიალიზებულ დახმარებას, რომელთაგან დიდი წილი მოდის ერთჯერად გასაცემლებზე, რომლის ოდენობაც მერყეობს 100-დან 500 ლარამდე. რაც შეეხება ყოველთვიურ გასაცემლებს, რომლებიც 5 პროგრამის ფარგლებში გაიცემა, 4 პროგრამის შემთხვევაში გასაცემი თანხის ოდენობა წარმოადგენს 100 ლარს, ხოლო 1-ის შემთხვევაში კი 50 ან 40 ლარს (უსინათლო პირებისთვის / კატეგორიების მიხედვით). მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებული არსებული სოციალური დახმარბების უდიდესი წილი მიეკუთვნება კატეგორიზირებული მიზნობრიობის ჯგუფს, რადგანაც ყველა წევრი შესაბამისი სპეციფიური კატეგორიიდან უფლებამოსილია მიიღოს აღნიშნული სოციალური დახმარება და არ საჭიროებს სპეციალისტის ან სპეციალისტთა ჯგუფის მიერ განხორციელებულ დისკრეციულ შეფასებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის არცერთი პროგრამა არ ატარებს სოციალური მომსახურების ხასიათს, რომლის მაგალითებია დღის ცენტრები, შინ მოვლის მომსახურებები, ოჯახის მხარდამჭერი და ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული მომსახურებები და სხვა სახის სათემო სერვისები. *„ჩვენ უნდა ამოვიდეთ იქიდან, თუ რას ვთავაზობთ ჩვენს მოსახლეობას. სახელმწიფოს გადასაწყვეტია ეს. ამდენი ფული არის წყალში გადაყრილი და კმაყოფილი არავინ არ ჩანს. ოჯახის გაძლიერებაზე ვერ ვმუშაობთ“* (ადგილობრივი თვითთმართველობის წარმომადგენელი)

დიაგრამა N4 აჩვენებს, რომ ბოლო 3 წლის განავლობაში არცერთი მუნიციპალური სოციალური პროგრამა არ შეწყვეტილა ანდა პირიქით, არ დამატებულა ახალი. ამასთან, იგივე დიაგრამით ნათელია, რომ სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (200-600 ლარის ფარგლებში), წარმოადგენს სოციალური კუთხით მუნიციპალიტეტის ყველაზე მსხვილ გასაცემელს, ჯამში 590 000 ლარის ოდენობით, 2019 წლის ბიუჯეტისთვის.

რაც შეეხება ბიუჯეტს, ბოლო სამი წლის განმავლობაში, შეინიშნება ბიუჯეტის ზრდა სოციალური დაცვის მიმართულებით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს პოზიტიურ დინამიკას და შეიძლება მივიჩნიოთ მანიშნებლად, რომ სოციალური მიმართულება არის ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული მიმართულება. 2017 წლისთვის, ზესტაფონის სოციალური პროგრამების ბიუჯეტი იყო 1398.500 ლარი, 2018 წლისთვის - 1491.300 ლარი, ხოლო 2019 წლისთვის კი 1769.000 ლარი[6]. შესაბმისად, 2017 წლიდან დღემდე სოციალური პროგრამების ბიუჯეტი გაიზარდა 370500 ლარით.

წინამდებარე გრაფიკის სახით წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამების ბიუჯეტის ყოველწლიური მაჩვენებლები, ბოლო სამი წლის განმავლობაში:

დიაგრამა N3: სოციალური პროგრამების ბიუჯეტი



[6] 2019 წლის ბიუჯეტის პროგნოზს სოციალური დაცვის მიმართულებისთვის წარმოადგენდა 1560.000 ლარი, თუმცა გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე მიღებული მონაცემით, 2019 წლის ზესტაფონის სოციალური პროგრამების ბიუჯეტი 1769.000 ლარია, რაც 209.000 ლარით აღემატება პროგნოზს.

ცხრილი 1.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები (2019 წელი)

	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახეობა	სამიზნე ჯგუფები
1.	**მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარება**	ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200-დან 600 ლარამდე ლიმიტით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის	სპეციფიური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები (მაგ. ლეიკემია); შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და სრულწლოვანი პირები; მარტოხელა მშობელი და მრავალშვილიანი ოჯახები.
2.	**ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავალებულთა დახმარება**	მატერიალიზებული ფორმით დახმარება (უფასო მედიკამენტები)	ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებულები.
3.	**თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება**	ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით	თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირები.
4.	**სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეებისთვის „უფასო სადილით“ უზრუნველყოფის პროგრამა**	მატერიალიზებული ფორმით დახმარება (უფასო სადილი)	სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული პირი/ოჯახი 70 000 ქულას ქვემოთ.
5.	**ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (ქვეპროგრამა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა“)**	250 ლარი ერთჯერადად / ყოველთვიური დახმარება 200 ლარის ოდენობით / ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით	სოციალურად დაუცველი ახალშობილის ოჯახი / ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი / იგივე სტატუსის მქონე პირი თავშესაფრის მომსახურების დატოვების შემდეგომ.
6.	**სტიქიით დაზარელებული ოჯახების ფულადი დახმარება**	გასაცემი თანხის ზღვრული ოდენობა 2000 ლარი	სტიქიით დაზარალებული ოჯახები
7.	**გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება**	გასაცემი თანხა ოჯახის შემთხვევაში 200 ლარის ოდენობით, ხოლო დამკრძალავის ბიუროს შემთხვევაში 400 ლარის ოდენობით.	სოციალურადდაუცველი სატატუსის მქონე ოჯახი; დევნილის სტატუსის მქონე ოჯახი; ე.წ. „უპატრონო მიცვალებული“.

8. სადღესასწაულო დახმარება	ფულადი ან მატერიალური ფორმით დახმარების გაცემა ზღვრული 500 ლარის ოდენობით ინდივიდის შემთხვევაში. ჯამური ბიუჯეტი: 35 000 ლარი	სხვადასხვა მოწყვლად კატეგორიას მიკუთვნებული პირები/ოჯახები.
9. მარჩენალდაკარგულის დახმარება	ერთჯერადი მატერიალური დახმარება 100 ლარის ოდენობით	ომის შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის ოჯახის დახმარება.
10. უსინათლო პირების დახმარება	ყოველთვიურად 50 ან 40 ლარის ოდენობით	უსინათლო პირები
11. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ომისა და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილეების ფინანსური დახმარება	ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ომისა და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილეები.
12. საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა	ერთჯერადი 7000 ლარის ოდენობით	სიღატაკის რისკის წინაშე მყოფი ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ თავშესაფარი ან/და ენგრევათ სახლი.
13. ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვების ფინანსური დახმარება	ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით	ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვები
14. სამედიცინო მომსახურების ფინანსური დახმარება	ოპერაციის ღირებულების 50%-ის დაფინასება.	კოქსართროზით დაავადებული არასაპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის (რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში), რომლებიც საჭიროებენ მენჯ-ბარძაყის პროთეზირებას.
	სამედიცინო მომსახურების ღირებულების თანდაფინასება სახელმწიფოს დაუფარავი წილის 50%-ით, ზღვრული ლიმიტი 800 ლარი.	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონარული ქირურგიული ოპერაციები და მომსახურება.

დიაგრამა 4. სხვადასხვა სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 2017-2019 წლებში[7]



[7] 2019 წლისთვის, მოცემულია მხოლოდ გასული 8 თვის მონაცემები.

სოციალური პროგრამები მოიცავს ინფორმაციას მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების (რომლითაც უნდა ფასდებოდეს პროგრამის წარმატება) შესახებ. თუმცა ეს ნაწილი შეიძლება შეფასედეს ადგილობრივი პროგრამების ძალიან სუსტ მხარედ, რადგან ბუნდოვანია ზემოთ აღწერილი პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები. მაგალითისთვის, გაუგებარია რას გულისხმობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამის, რომელიც ერთჯერად მატერიალურ გასაცემელს მოაზრებს, შემდეგი ინდიკატორი „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სტიმულირება". ასევე, გაურკვეველია ქვეპროგრამა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა", რომელიც ყოველთვიურ 100 ლარით დახმარებას გულისხმობს, როგორ გადის შემდეგ მოსალოდნელ შედეგზე - „მოსახლეობის დემოგრაფიული ფონდის მხარდაჭერა", რასაც თავის მხრივ უფრო მიზნის ფორმულირება აქვს, ვიდრე მოსალოდნელი შედეგის. თავის მხრივ, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები იმგვარად არის ფორმულირებული, რომ შეუძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც მიღწევის/წარმატების საზომი.

აღსანიშნავია, რომ თავად მუნიციპალიტეტის თანამშრომლებიც კი კრიტიკულად უყურებენ ერთჯერადი მატერიალური დახმარების საკითხს და აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში მსგავსი პროგრამები ვერაფერს მნიშვნელოვანს ცვლიან ბენეფიციართა ცხოვრებაში. *„ეს არის აბსულუტური უაზრობა, წელიწადში ერთხელ 100 ლარი. 100 ლარად რა უნდა გააკეთოს რა უნდა ქნას ოჯახმა, ვერაფერს ვერ იზამს ხომ?!"* (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი). ასევე, აღნიშნა რომ ერთჯერადი დახმარებები მიბმულია არჩევნების თემასთან, რაც ხშირად ხდება მოქალაქეთა მხრიდან ე.წ. „შანტაჟის" საფუძველი, როგორც თავად ფოკუს ჯგუფების წევრები ამბობენ. კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემად გამოიკვეთა ისიც, რომ არსებული პროგრამების შესახებაც მოაქალაქეებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია. *„ბევრჯერ გვისაუბრია ამაზე, რომ იმ სერვისებზე, რასაც სახელმწიფო სთავაზობს მოსახლეობას, მოქალაქეები ინფორმაციას არ ფლობენ. სოციალურ სამსახურს 14 სოციალური პროგრამა ჰქონდა წინა წელს, როგორც გვითხრეს. არც მე, არც ჩემმა მეზობლემა ჩემს სოფელში არაფერი ვიცოდით ამ პროგრამების შესახებ"* (აქტიური მოქალაქე). მუნიციპალიტის მიერ განხორციელებული პროგრამების ჭრილში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა მხარეებისათვის გაურკვეველია სოციალური დახმარების გაცემის წესი და კრიტერიუმები, მიუხედავად იმისა რომ ეს წესი ოფიციალურად გაწერილია და არსებობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N44 16 (19 დეკემბერი, 2018) აღნიშნულის თაობაზე. უფრო მეტიც, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები მიუთითებდნენ მუციპალიტეტის დონეზე მოწყვლადობის მაიდენტიფიცირებელი სპეციალური ინსტრუმენტების არსებობის მნიშვნელობაზე, რომელიც გამოკვეთდა ყველაზე დაუცველ ოჯახებს და რაც გახდებოდა საფუძველი, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მხარდაჭერა გაეწია მათთვის: *„ამ თემებიდან გამომდინარე, რომ დავაზუსტოთ და მივცეთ მიმართულება. კი ვიცით, გასცემს რაღაც ერთჯერად დახმარებას მერია. ვიღაც დაწერს წერილს, რომ უჭირს და მერიაც გასცემს ერთჯერადად. მაგრამ მე მაინტერესებს რაშე მექანიზმი, ინსტრუმენტი არის შეფასების? მაგალითად ყველა ჩვენგანმა წავედით და დავწერეთ განცხადება, რა მოხდება? უნდა არსებობდეს რაიმე ობიექტური კრიტერიუმები, რითაც უნდა გადაწყიტოს მერიამ ვის მისცეს დახმარება. დღეს ადგილობრივ თვითმმართველობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი პროგრამები დალაგებული ასე: ერთი, რასაც ცენტრალური ეხმარება შეიძლება არ არის საკმარისი და მე უნდა მქონდეს ადგილობრივ დონეზე შეფასების ინსტრუმენტი, რითაც სშევძლებ შევაფასო და დავეხმარო. მეორე, კი ბატონო სახელმწიფო ეხმარება მხოლოდ დაბალქულიანებს, მაგრამ ოდნავ მეტი ქულა ვისაც აქვს სულაც არ ნიშნავს, რომ კარგად არის. ამიტომ, ადგილობრივმა შეიძლება თავის ტერიტორიაზე გააფართოვოს და ოდნავ მაღალქულიანებსაც გაუწიოს მხარდაჭერა"* (აქტიური მოქალაქე).

წინამდებარე კვლევა საჭიროებების იდენტიფიცირებასა და სოციალური პროგრამების მიმოხილვასთან ერთად, მიზნად ისახავდა შეეფასებინა, რამდენად პასუხობს გამოკვეთილ საჭიროებებს მუნიციპალიტეტის დონეზე არსებული სოციალური პროგრამები. აღნიშნულის განსასაზღვრად გამოყენებული იქნა შეფასების სკალა - სრულად პასუხობს, უმეტესწილად პასუხობს, ნაწილობრივ პასუხობს, უმეტესწილად არ პასუხობს, სრულად არ პასუხობს.

საჭიროების დასახელება: სიღარიბე, უმუშავრობა და დაბალი შემოსავლები (შეფასება: უმეტეწილად არ პასუხობს)
დასაბუთება: ის, რომ მატერიალური სახით გაიცემა გარკვეულ ჯგუფებზე ერთჯერადი ანდა ყოველთვიური მატერიალური დახმარებები, შეიძლება მივიჩნოთ პრობლემისადმი მინიმალურ გამოპასუხებად. თუმცა აღსანიშნავია, რომ ის სავსებით ვერ ახდენს არსებულ პრობლემასთან ეფექტიან ბრძოლას, რაზეც მიუთითებს კვლევის მონაწილეთა მოსაზრებებიც. ამასთან, უმუშევრობის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ მერიის სოციალური პროგრამა არ მოიცავს ერთ პროგრამასაც კი, რომელიც მიმართული იქნებოდა დასაქმების სტიმულირების, მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ანდა თვითდასაქმების მხარდასაჭერად.

საჭიროების დასახელება: უსახლკარობა და არასათანადო საცხოვრისი (შეფასება: ნაწილობრივ პასუხობს)
დასაბუთება: მუნიციპალიტეტი ახორციელებს საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამას ერთჯერადი ზღვრული 7000 ლარის ოდენობით, რომელიც განკუთვნილია თავშესაფრის არ მქონე ოჯახების ანდა იმ ოჯახებისათვის, რომელთა საცხოვრებელი ავარიულია. მიმდინარე წელს უკვე გახარჯულია პროგრამის ფარგლებში 129 550 ლარი და დახმარება გაეწია 79 ოჯახს, რაც ნიშნავს იმას რომ 1639 ლარი გაიცა საშუალოდ ერთ ოჯახზე. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ რეალური საჭიროების დაკმაყოფილება და ბინების შეძენა, ანდა სათანადოდ შეკეთება საცხორებლის ამ თანხაში ვერ მოხდებოდა.

საჭიროების დასახელება: სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფებისათვის ზრუნვის მომსახურებების ხელმიუწვდომლობა (შეფასება: სრულად არ პასუხობს)
დასაბუთება: თემში არსებული დღის ცენტრი, რომელსაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია უწევს ადმინისტრირებას, არ არის მუნიციპალური დაფინანსებით. მხოლოდ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ვაუჩერით ფუნქციონირებს მომსახურება. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებს შორის არ არის ისეთი მომსახურებები, როგორიცაა დღის ცენტრები, სათემო ცენტრები, შინ მოვლის პროგრამები, „ამოსუნთქვის“ სერვისები მზრუნველებისთვის და მზრუნველთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა.

საჭიროების დასახელება: თემში მცხოვრები ბავშვების, ახალგაზრდებისა და ქალების სპეციფიური მდგომარეობა (შეფასება: უმეტესწილად არ პასუხობს)
დასაბუთება: მიუხედავად იმისა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები მოიცავს ისეთ პროგრამებს, რომელთა სამიზნე ჯგუფიც არიან ქალები და ბავშვები, პროგრამა საჭიროების საპასუხოდ ფასდება სუსტად. აღნიშნულს განაპირობებს ის, რომ ამ შემთხვევაში, ძირითადად ერთჯერადი, ანდა ყოველთვიური ფულადი დახმარებაა, რომელიც ოჯახის საერთო სურათს ვერ ცვლის, აქვს მოკლევადიანი „ეფექტი“. ამასთან, საჭიროების ნაწილში მითითება იყო არა მხოლოდ ფულად ბენეფიტებზე, არამედ უფრო მატერიალური სახით დახმარებაზე კრიზისულ სიტუაციაში (კვების პროდუქტები, პირველადი მოხმარების ნივთები და ავეჯი), ასევე, აქცენტი კეთდებოდა მშობელობის უნარების გასაუმჯობესებელ პროგრამებსა და ოჯახის მხარდამჭერ სერვისებზე, რაც, ამ ეტაპზე, არ არის ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური სამსახურის პროგრამებისა.

4.3. უწყებათაშორისი თანამშრომლობა, კომუნიკაცია და კოორდინაცია

ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარება ადგილობრივ დონეზე წარმოუდგენელია ადგილობრივი უწყებებისა, ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების კოორდინირებული თანამშრომლობის გარეშე. მრავალსექტორული და უწყებათშორის თანამშრომლობა არის კარგი წინაპირობა სოციალური პრობლემის მასშტაბისა და მახასიათებლების უკეთ გასააზრებლად და ამასთან, თანამონაწილეობითი მიდგომებით, უკეთესი სოციალური პოლიტიკის განსავითარებლად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოციალური მიმართულებით, ძირითად აქტორებად შეიძლება განვიხილოთ ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი უწყებები/ორგანიზაციები:

- ადგილობრივი თვითმმართველობა (მერია და საკრებულო);
- ადგილობრივი თვითმმართველობის ბაზაზე არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (ააიპ საზოგადოებრივი მედიცინის ცენტრისა და ააიპ ბაღების გაერთაინების სახით);
- სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული ცენტრი;
- საგანმანათლებლო რესურს ცენტრი;
- ისეთი სოციალური ინსტიტუტები, როგორიცაა ადგილობრივი სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები;
- მ2 პროფესიული სასაწავლებელი/კოლეჯი;
- საზოგადოებრივი ორგანზიაციები, რომლებიც ოპერირებენ მუნიციპალიტეტში: "ორიონი" (სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებელი); ასოციაცია „კათარზისი" (სოციალურად დაუცველი პირებისთვის უფასო სასადილოს მომსახურების მიმწოდებელი); ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსა (LDA) და World Vision საქართველოს იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამა (ეს უკანასკნელი, ერთ თემში, სოფელში „სვირი" ახორციელებს თავის საქმიანობას).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა შეფასებით, თემში მომუშავე ყველა სამსახურთან და ორგანიზაციასთან კარგი და გამართული თანამშრომლობის პრაქტიკა აქვთ. თუმცა უწყებათაშორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის მიმართულებით გამოიკვეთა განსხვავებული პრაქტიკა ერთი ქოლგის ქვეშ მიმდინარე ორი პროგრამული მიმართულებით. კერძოდ კი, ჯანდაცვის პროგრამის მიმართულებით მონაწილეთა მხრიდან აღინიშნა, რომ ხდება უწყებათაშორისი ინფორმაციის მიმოცვლა და ადგილობრივი ექიმები, ჯანდაცვის სპეციალისტები ჩართულები არიან ჯანმრთელობის მიმართულებით პროგრამების განხილვის საქმეში. *„შეიქმნა მრჩეველთა საბჭო მერიაში და იქ განიხლება სხვადასხვა საკითხი. ყველა თემას გავდივართ იქ. სამედიცინო კუთხით სამი ექიმი ვიყავით ჩართული. სხვა სამსახურებიც იყვნენ"* (ფორმალური ლიდერი ჯანდაცვის სფეროდან). რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, აღინიშნა რომ ამ მიმართულებით არ ხდება შესაბამისი უწყებების, სპეციალისტების ჩართულობა პროგრამების შემუშავების ეტაპზე. ხაზი გაესვა, იმ გარემოებასაც, რომ თავად მოქალაქეები და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები ნაკლებად არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების შედგენაში. *„სოციალური კუთხით ჩვენ ნამდვილად არ ვართ ჩართულები. არავის არ უკითხავს რამე მაგალითად მრავალშვილიანებზე, ძალადობის მსხვერპლებზე"* (ფორმალური ლიდერი სოციალური სფეროდან).

ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ ფორმალური ლიდერები და აქტიური მოქალქეებიც კი არასაკმარის ინფორმაციას ფლობენ არსებული სოციალური პროგრამების შესახებ. ამასთან, ისინი ხაზს უსვამენ მსგავსი სახის შეხვედრების მნიშვნელობას. *„როცა დგება ეს ბიუჯეტი, ოქტომბერია თუ ნომბერი, ჩვენც არ ვიცით. ხომ იკრიბება მერია თუ საკრებულოა, იქაც უნდა დაესწროს საზოგადოების წარმომადგენელი, თავად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებსაც შეუძლიათ ილაპარაკონ ჯგუფის სახელით“.* (აქტიური მოქალაქე). ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ *„თუნდაც იგივე შემადგენლობით, ძალიან მნიშვნელოვანია შეხვედრა. ყველა სტრუქტურა უნდა იყოს ჩართული. იცით რა არის? ყველამ ყველაფერი არ ვიცით. მსჯელობაში ბევრი ახალი აზრი იბადება. ამიტომ, ასეთი შეხვედრები მნიშვნელოვანია.“* (ფორმალური ლიდერი განათლების სფეროდან)

ამ ნაწილში, ასევე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური მიმართულება თითქმის არ იყენებს ე.წ. „აუთსორსინგის“ პრაქტიკას (იგივე, კონტრაქტის წესით მომსახურების შესყიდვა საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან), თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ ასოციაცია „კათარზისის“ უფასო სასადილოს მომსახურებას, რომლის თანდაფინასება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. *„ჩვენ გვაქვს სახელმწიფო მართვის სერიოზული პრობლემა. რა კონტექსტში ვამბობ ახლა ამას: ჩვენ ყველა რაღაცას ვაკეთებთ - ზოგი ხელისუფლებაში, ზოგიც არასამთავრობო სექტორში, მაგრამ ვართ საათის მექანიზმებივით, რომლებიც ერთმანეთთან არ არის კავშირში და შესაბამისად, არ ქმნის სინერიგიას, რომელმაც ეს საათი უნდა ამუშაოს. თითქოს ვაკეთებთ, ვცდილობთ რაღაცას, მაგრამ რა ეფექტიც უნდა მივიღოთ ის არ გვაქვს.“* (აქტიური მოქალაქე).

შესაბამისად, უწყებათაშორისი თანამშრომლობის მიმართულებით უმნიშვნელოვანესია გაიწეროს კომუნიკაციისა და კოორდინაციის ნათელი სქემა და მექანიზმები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს ყველა დაინტერესებულ მხარეს, ჩაერთონ ადგილობრივი სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, თემისთვის აქტუალური საკითხების პოლიტიკის დღის წესრიგში შეტანასა და შემდგომ ამ პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებაში. ამ გზით, უფრო მეტს მიეცემა შესაძლებლობა საკუთარი წვლილი შეიტანონ თემის განვითარების საქმეში.

4.4. თემის ძლიერი მხარეები, რესურსები და შესაძლებლობები

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ძირითადი მიზანი იყო გამოეკვეთა თემში არსებული საჭიროებები სოციალური თვალსაზრისით, მკვლევართა გუნდმა უმნიშვნელოვანესად მიიჩნია იმ ძლიერი მხარეების, რესურსებისა და შესაძლებლობების ანალიზი, რაც ადგილობრივ თემს გააჩნია. აღნიშნული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ასპექტია იმისათვის, რომ სამომავლოდ ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ გამოწვევებს, არამედ შესაძლებლობებს. ფოკუს ჯგუფური ანალიზის შედეგებისა და მკვლევარის დაკვირვების შედეგად, თემის ძლიერ მხარეებად შეიძლება შეფასდეს:

- გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გაცხადებული სურვილი, საზოგადოებრივ ორგანიზაციებითან თანამშრომლობით, შეიცვალოს არსებული ერთჯერადი დახმარების პოლიტიკა უფრო გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ბიუჯეტის ზრდის პოზიტიური დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში;

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა/თანამშრომელთა კრიტიკული ხედვა არსებული პროგრამების შესახებ. ამასთან, მათი სურვილი და მოტივაცია სოციალური პოლიტიკის ცვლილების იმგვარად, რომ იგი ორიენტირებული იყოს არა ერთჯერად მატერიალურ გასაცემლებზე, არამედ ეფექტიან სოციალურ მომსახურებებზე;
- აქტიური მოქალაქეებისა და ფორმალური ლიდერების (თემში მომუშავე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები ჯანდაცვის, სოციალური და განათლების სფეროდან) სურვილი და მოტივაცია, მონაწილეობა მიიღონ სოციალური პოლიტიკის დაგეგმვაში და ამ გზით თავისი წვლილი შეიტანონ სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებაში;
- ფეროშენადნობი ქარხანა, როგორც რესურსი, რომელსაც მნიშვნელოვანი შენატანი აქვს ბიუჯეტში (დაახლოებით 25%-იანი) და ამასთან, შესაძლებლობა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისთვის.
- მაღალმთიანი სოფლების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობის კუთხით, კონკრეტულად კი მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობის მიმართულებით, როგორც კარგი ბაზა სოფლის მეურნების კუთხით პროგრამების ინიცირებისთვის.
- ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცდილება, ჯანდაცვის მიმართულებით ისეთი სოციალური პროგრამის განხორციელების, რომლის რეპლიკაცია მოხდა სხვა მუნიციპალიტეტებში.
- ზესტაფონში მ2-ის პროფესიული სასწავლებელის/კოლეჯის არსებობა, რომელიც ოპერირებს ISO-ს სტანდარტით და ახდენს გადამზადებას სამშენებლო მიმართულებით სამუშაო ძალის, რაც კარგი შესაძლებლობაა ადგილობრივებისთვის, დაეუფლონ ხელობას სამშენებლო მიმართულებით;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უკვე ამუშავებს ახალგაზრდული ცენტრის იდეას, რაც ნიშნავს სივრცეს და შესაბმისად, შესაძლებლობას ახალგაზრდებისთვის. წარმატების მისაღწევად, ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია, თუ როგორი კონცეფცია ექნება ცენტრს და როგორ დაიტივირთება იგი ფუნქციური თვალსაზრისით;
- მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციის ადგილობრივი წარმომადგენლის (იგულისხმება WORLD VISION საქართველოს) ოპერირება ზესტაფონის თემში. ეს რესურსი კარგი შესაძლებლობა შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულებით საპილოტე რეჟიმში რაიმე ერთობლივი პროგრამის განასახორციელებლად, ან/და ორგანიზაციის გამოცდილების გასაზიარებლად;
- ადგილობრვი არასამთავრბო ორგანიზაციების, როგორიცაა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA), ასევე მომსახურების მიწოდებაში გამოცდილების მქონე ორგანიზაციების („ორიონი“ და „კათარზისი“) ოპერირება ადგილზე. მათი გამოცდილება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ახალი პროგრამების ინიცირების თვალსაზრისით;
- საერთაშორისო ორგანიზაციის „წითელი ჯვარი“ გამოხატული ინტერესი დაიწყოს მუშაობა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ხანდაზმულებისათვის სოციალური მომსახურებების განვითარების კუთხით;
- აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ახალი კანონით სოციალური მუშაობის შესახებ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებს თავიანთ ტერიტორიულ ერთეულში გაუჩნდათ სოციალური მუშაობის განხორციელების ვალდებულება, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ახალ პოლიტიკურ მოცემულობად, რომელსაც აქვს შესაძლებლობა გააძლიეროს მუნიციპალიტეტის სოციალური მიმართულება. კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე ატარებს სოციალურ მუშაობას, რაც გულისხმობს შემდეგს:

საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ
მუხლი 56. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები

1. მუნიციპალიტეტი საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე ატარებს სოციალურ მუშაობას, რაც გულისხმობს:
ა) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას;
გ) ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას;
დ) ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას;
ე) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას;
ვ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარებას;
ზ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში სოციალური მუშაობის ჩატარებას.

5. სოციალური მუშაობის ჩატარება არის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს.
6. სოციალურ მუშაობას კოორდინაციას და ადმინისტრირებას უწევს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული.
7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მერიის სტრუქტურული ერთეულის დებულება უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონის მოთხოვნებს, რათა მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური მუშაობის ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომობა.

ამ კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობამ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე, 2021 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყოს ამ კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება.

უფლებამოსილების დელეგირება სოციალური მომსახურების სააგენტოდან ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სტრქუტურულ ერთეულებზე მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს არსებულ სოციალურ პროგრამებში ცვლილებებსა და მოითხოვს პასუხისმგებლობების გადანაწილების ნათელ სქემას უწყებებს შორის. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა ეტაპობრივად გადადგას ნაბიჯები ამ მიმართულებით, რათა წარმატებით შეასრულოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებები.

4.5. მონაწილეთა მოსაზრებები სოციალური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად

მონაწილეების მიერ, გამოითქვა მოსაზრებები თემის დონეზე არსებული სოციალური პოლიტიკის მიმართულებით. თითოეული ჯგუფის მოსაზრება წარმოდგენილია ქვემოთ იმ პრინციპით, რომ თუ მოსაზრება იმავე სახით (უმიშვნელო ცვლილებით) მეორდებოდა სხვა ჯგუფში, აღარ მოხდა მისი სხვა ჯგუფთან ასახვა, რადგანაც თვისებრივ კვლევას არ აქვს სიხშირის ან/და რაოდენობის დათვლის პრეტენზია.

ბენეფიციარების მოსაზრებები სოციალური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად:

- დასაქმების ხელშეწყობა და მისი სტიმულირება უნდა მოხდეს. თუნდაც ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში ქუთაისიდან არ უნდა ხდებოდეს კადრების ჩამოყვანა. ადგილობრივები უნდა დასაქმდნენ.
- შინ მოვლის პროგრამები უნდა შეიქმნას, მაგალითად, ტოტალურად უსინათლოებისთვის. უნდა არსებობდეს ჯგუფები, რომლებიც მხარდაჭერას გაუწევენ ასეთ პირებს.
- მშობელებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მშობლებს, უნდა მიეწოდებოდეთ ბავშვის აღზრდის შესახებ ტრენინგები. მშობლების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით უმიშვნელოვანესია, რათა ბავშვები არ გაუცხოვდნენ მშობლებთან და შემცირდეს აგრესია, რომელიც ასეთ დროს ვლინდება.
- ბავშვებისთვის უნდა არსებობდეს რაიმე არაფორმალური განათლების ცენტრები, სადაც წაიკითხავენ და ისწავლიან, დამატებით ცოდნას შეიძენენ.

აქტიური მოქალაქეების მოსაზრებები სოციალური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად:

- სოციალური პოლიტიკა უნდა შეიქმნას თანამონაწილეობითი პრინციპების დაცვით, ყველას აზრი უნდა იქნას მოსმენილი და გათვალისწინებული. სოფლებში უნდა ტარდებოდეს შეხვედრები, მეტი მოქალაქე, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფები, უნდა ერთვებოდნენ. განხილვები უნდა იყოს ღია და ყველასთვის ხელმისაწვდომი, ვისაც ექნება ჩართვის სურვილი.
- მნიშვნელოვანია ახალგაზრდებთან მუშაობა და მათი ცნობიერების ამაღლება, თუნდაც კარიერული ორიენტაციისა და პროფესიული განათლების მიმართულებით. ზესტაფონში გვაქვს შესაძლებლობა ხელი შევუწყოთ მათ პროფესიულ განათლებას და კარგი იქნება ამ შესაძლებლობაზე იცოდნენ. აქვე, აქცენტი გაკეთდა მოტივაციის ამაღლებაზე მიმართული ინტერვენციის მნიშვნელოვნებაზე.
- გაწერილი წესები და შესაბამისი ინსტრუმენტები უნდა არსებობდეს ყველაზე მოწყვლადი ოჯახების გამოსავლენად და მათ დასახმარებლად.
- მუნიციპალური დახმარების პროგრამები ნაკლებად უნდა ატარებდეს ფულადი დახმარების ხასიათს (ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორება არ უნდა ხდებოდეს), უნდა მოხდეს ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა. მაგალითად, ჯანდაცვის სერვისების შემთხვევაში ინვოისისა და კალკულაციის საფუძველზე უნდა მოხდეს მომსახურების დაფინანსება.

თემის ფორმალური ლიდერების მოსაზრებები სოციალური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად:

- თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს მოქნილი ფონდი, რომელიც მიმართული იქნება ფორსმაჟორულ სიტუაციაზე. შეიძლება ფონდმა იმუშაოს კომისიის რეჟიმში, მაგრამ საჭიროებას უნდა პასუხობდეს დაუყოვნებლივ.
- მნიშვნელოვანია, რომ მუნიციაპლიტეტში არსებობდეს ზრდასრულთა განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებული ცენტრი, რომელიც ახალგაზრდებს მისცემს შეკრების, ინფორმაციის გაცვლისა და ახალი უნარების შეძენის შესაძლებლობას.
- დაბალპროცენტიანი სესხები რომ გაიცეს ოჯახების გაძლიერების მიზნით, რომ შეძლონ სოფლის მეურნეობის მიმართულებით (კონკრეტულად, მეცხოველეობა და მიწათმოქმედება) რაიმე საქმიანობის წამოწყება[8].
- კარგი იქნებოდა, რომ შინ მოვლის სერვისი გვქონდეს, მუშაობდეს რაიმე ჯგუფი, რომელიც შეეხიდებოდა მზრუნველ პირს (შშმ პირის, ხანდაზმულის ან/და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირზე მზრუნველი იგულისხმება)[9].

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მოსაზრებები სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესების კუთხით:

- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა უნდა მოხდეს და ეს უნდა გახდეს პრიოორიტეტი. მთიან სოფლებში არის უნიკალური პირობები მეცხოველოების, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის კუთხით. სახელმწიფო უნდა ჩაერთოს სწავლებაში, შემდგომ წამოწყებასა და ბოლოს - რეალიზაციაში.
- მცირე საწარმოები უნდა შეიქნეს და სოციალურ მეწარმეობას უნდა შეეწყოს ხელი. ადგილობრივი თვითმმართველობის ბაზაზე უნდა მოხდეს მსგავსი პროგრამების სტიმულირება.
- როცა სახელმწიფო იძლევა რაიმე დახმარებას, მან იქვე უნდა ჩართოს სოციალური მუშაკი, რომელიც დაეხმარება განკარგვაში. იქნება ჩართული სწავლებასა და ბიუჯეტირებაში.
- შეიქმნას ისეთი სოციალური პროგრამები, რომლებიც ორიეტირებული იქნება არა ფულად გასაცემლებებზე, არამედ სხვა, სოციალური ტიპის მხარდაჭერაზე.

ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ჯგუფში, გამოითქვა მოსაზრება, რომ დეცენტრალიზაცია უმიშვლოვანესია, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თემების განვითარებას „სრულ დელეგირებას ვითხოვთ, ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი თავის მმართველი, თუ გვინდა წინ წავიდეთ“ (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი).

[8] მოსაზრება განმეორდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ჯგუფში.
[9] მოსაზრება განმეორდა ადგილობრივით თვითმმართველობის წარმომადგენელთა ჯგუფში.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ (2018);
2. საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ (2006);
3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (2014);
4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პროგრამა და ბიუჯეტი (2018);
5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი (2019);
6. გაეროს ბავშვთა ფონდი (2018); მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა;
7. მომსახურების შეფასების კვლევა (2018); საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW), World Vision საქართველო;
8. ქალთა საჭიროებების კვლევა (2017); ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო;
9. www.ssa.gov.ge
10. www.unicef.org/Georgia

დანართი

სადიკსუსიო გეგმა / გზამკვლევი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	- მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება.	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
თემში არსებული სოციალური პრობლემები და თემის რესურსები	1. თემში არსებული ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემები; 2. თემში მცხოვრები ტიპური ოჯახის პროფილი (გონებრივი იერიშის მეთოდით) 3. თემში მცხოვრები მოწყვლადი ოჯახის პროფილი (გონებრივი იერიშის მეთოდით) 4. თქვენს მუნიციპალიტეტში, რა ძლიერი მხარეები და რესურსებია ადგილობრივ დონეზე სოციალური პრობლემების დასაძლევად?	აქცენტი უნდა გაკეთდება თემში არსებული ზოგადი მდგომარეობის, სოციალური კუთხით არსებული გამოწვევების გამოკვეთაზე და ამასთან იმ რესურსების იდენტიფიცირებაზე, რითაც შეიძლება დაიძლიოს პრობლემა
თემში არსებული მომსახურებები / პროგრამები	5. ვინ/რომელი უწყებები და ორგანიზაციები მუშაობენ ამ პრობლემების დაძლევაზე? როგორ ხდება ამ პრობლემების მოგვარება? რეაგირების რა შესაძლებლობები არსებობს? 6. რა მიმდინარე პროგრამები და მომსახურებები გაქვთ მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერისათის? შშმ პირთათვის, ქალებისათვის? ახალგაზრდებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის? ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის? 7. როგორია სერვისის მიღების პროცედურა? 8. რისი მიხედვით იქმნება/ყალიბდება ახალი პროგრამები? 9. როგორ აფასებთ თქვენი სამსახურის გაწეულ მომსახურებებს? რამდენად პასუხობს თემის საჭიროებებს? აქვს რეალური გავლენა? 10. რისი შეცვლა/გაუმჯობესებაა საჭირო ამ მიმართულებით?	სამსახურის საქმიანობის შესახებ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის მოძიება. ყურადღების გამახვილება პროგრამების შექმნასა და თანამშრომელთა მხრიდან ეფექტიანობის შეფასებაზე
თანამშრომლობა და კოორდინაცია	11. რომელ ორგანიზაციებთან/უწყებებთან გიწევთ ყველაზე ხშირად თანამშრომლობა? 12. როგორ აფასებთ არსებული თანამშრომლობის პრაქტიკას?	მნიშვნელოვანია გამოიკვეთის რამდენად კოორდინაციაშია ადგილობრივი მუნიციპალიტეტი სერვისის მიმწოდებელ სხვა უწყებებთან
რეკომენდაციები	13. რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? რა როლი შეუძლია ჰქონდეს თქვენს სამსახურს ამ პროცესში? 14. რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

სადიკსუსიო გეგმა / გზამკვლევი თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერებისთვის

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	- მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება.	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
თემში არსებული სოციალური პრობლემები და თემის რესურსები	1. თემში არსებული ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემები; 2. თემში მცხოვრები ტიპური ოჯახის პროფილი (გონებრივი იერიშის მეთოდით) 3. თემში მცხოვრები მოწყვლადი ოჯახის პროფილი (გონებრივი იერიშის მეთოდით) 4. თქვენს მუნიციპალიტეტში, რა ძლიერი მხარეები და რესურსებია ადგილობრივ დონეზე სოციალური პრობლემების დასაძლევად?	აქცენტი უნდა გაკეთდება თემში არსებული ზოგადი მდგომარეობის, სოციალური კუთხით არსებული გამოწვევების გამოკვეთაზე და ამასთან იმ რესურსების იდენტიფიცირებაზე, რითაც შეიძლება დაიძლიოს პრობლემა
არსებული მომსახურებები / პროგრამები	5. რა პროგრამებისა და მომსახურებების შესახებ გსმენიათ მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერისათის? შშმ პირთათვის, ქალებისათვის? ახალგაზრდებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის? ძალადობის მსხვერპლი პირებისთის? 6. რამდენად პასუხობს თემის საჭიროებებს? აქვს რეალური გავლენა? 7. რამდენად ხელმისაწვდობია ეს მომსახურები საჭიროების მქონე პირებისათის? 8. რადენად ხდება თქვენი ჩართულობა სხვადასხვა პროგრამის შემუშავებაში? 9. რისი შეცვლა/გაუმჯობესებაა საჭირო ამ მიმართულებით?	ყურადღების გამახვილება პროგრამების მიწოდების შესახებ ინფორმირებულობასა და მათ გარშემო ბენეფიციართა საჭიროებებზე
თანამშრომლობა და კოორდინაცია	10. რომელ ორგანიზაციებთან/უწყებებთან გიწევთ ყველაზე ხშირად თანამშრომლობა? 11. როგორ აფასებთ არსებული თანამშრომლობის პრაქტიკას?	მნიშვნელოვანია გამოიკვეთის რომელია სერვისის მიმწოდებელი ძირითადი უწყებები და რა საკითხებზე ხდება მათთან მიმართვა
რეკომენდაციები	12. რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? რა როლი შეუძლია ჰქონდეს თემის წევრებს ამ პროცესში? 13. რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ? თქვენი როლი როგორი შეიძლება იყოს?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

სადიკსუსიო გეგმა / გზამკვლევი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	- მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება.	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
თემში არსებული სოციალური პრობლემები	1. რომელია ყველაზე მწვავე პრობლემები თემში? 2. თქვენი შეფასებით, რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგანან ბავშვიან ოჯახები, ახალგაზრდები, ხანდაზმულები? როგორ ფიქრობთ, რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები? რამდენად გავრცელებულია ეს პრობლემა? 3. თქვენი აზრით, რა ძლიერი მხარეები და რესურსებია ადგილობრივ დონეზე ამ საკითხების გადასაწყვეტად?	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფორმირებულობა არსებული მომსახურების შესახებ	4. რა პროგრამებისა და მომსახურებების შესახებ გსმენიათ? 5. როგორ ხდება ამ მომსახურებების მიღება? რა კრიტერიუმები და პროცედურებია? 6. რამდენად პასუხობს თემის საჭიროებებს? აქვს რეალური გავლენა? 7. რამდენად ხელმისაწვდომია ეს მომსახურები საჭიროების მქონე პირებისათის? 8. რადენად ხდება თქვენი ჩართულობა სხვადასხვა პროგრამის შემუშავებაში? შეფასებაში? 9. რისი შეცვლა/გაუმჯობესებაა საჭირო ამ მიმართულებით?	ყურადღების გამახვილება პრგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე. ხელმისაწვდომობის დადგენა
რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის	10. რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? 11. რა უნდა გაკეთდეს თქვენი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის? ვის მიერ უნდა მოხდეს ოჯახების მხარდაჭერა? 12. თქვენ რა როლი შეგიძლიათ იქონიოთ დასახელებული სოციალური პრობლემების მოგვარებაში?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.